



**ქალაქის
ფრინველები**

Urban Birds of Georgia

**ქალაქის
ფრინველები**
(საქართველო)

**Urban Birds of
Georgia**



ბუნების კონსერვაცია საქართველო
Nature Conservation Georgia

თბილისი / Tbilisi
2023

ტექსტებზე მუშაობა: დაჩი შოშიტაშვილი, ნინო ტორიაშვილი, ელენე ნიკურაძე, საქსონ ბოსვორთი, ლუკა ტყემალაძე, სანდრო ჭითანავა

ილუსტრატორი: ლუკა ტყემალაძე

გარეკანისა და გვერდების დიზაინერი: ლუკა ტყემალაძე

თარგმანი: ელენე ნიკურაძე

რედაქტორი (ქართული): მზია შარაშიძე

რედაქტორი (ინგლისური): ანა ედგარი

Written by: Dachi Shoshitashvili, Nino Toriashvili, Elene Nikuradze, Saxon Bosworth, Luka Tkemaladze, Sandro Chitanava

Illustrator: Luka Tkemaladze

Cover and page designs: Luka Tkemaladze

Translations: Elene Nikuradze

Editor (Georgian): Mzia Sharashidze

Editor (English): Anna Edgar

პუბლიკაცია მომზადდა პროექტ "ურბანული ბიომრავალფეროვნებისათვის მეგობრული სკვრების მოდელის შექმნის" ფარგლებში, გაეროს მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, ბუნების კონსერვაცია საქართველოს მიერ.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ოფიციალურ თვალსაზრისს.

This publication was prepared by Nature Conservation Georgia within the framework of "Creating a model of friendly squares for urban biodiversity" project, with financial support from the UNDP-GEF Small Grants Program.

The opinions expressed in this publication are those of the authors. They do not purport to reflect the opinions or views of the United Nations Development Program (UNDP) and the Global Environment Facility (GEF) Small Grants Programme (SGP).



"მეტნაკლებად ყველას აქვს
ცაში წასვლის სურვილი"

-

გოდერძი ჩოხელი

"More or less, everyone has a will
to go up to the sky "

-

Goderdzi Chokheli

სამადლობელი სიტყვა

ყველა იმ ადამიანის სახელით, ვინც თავისი დრო, ცოდნა და ძალისხმევა დაუთმო ამ პროექტის განხორციელებას, მობარუნნი ვართ, წარმოგიდგინოთ წინამდებარე კომპაქტური სავლე სარკვევი, რომლის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა UNDP-ის მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერით.

შესაბამისად, ჩვენ უღრმეს მადლობას ვუხდით:

ჩვენს მეგობრებს UNDP-დან, რომელთა ურყევი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა იყო პროექტის წარმატების მამოძრავებელი ძალა;

მზია შარაშიძეს და ანა ედგარს, რომელთა ტექსტის დეტალურმა რედაქტირებამ უზრუნველყო გამოცემის მაღალი ხარისხი - ნათელი, მოკლე და ზუსტი შინაარსით.

და ბოლოს, - ჩვენს ძვირფას მკითხველს. მადლობა, რომ გახდით ამ წიგნის ნაწილი

ვიმედოვნებთ, რომ ეს სავლე სარკვევი იქნება ღირებული რესურსი ურბანულ ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვის, დამწყებთათვის, პედაგოგებისთვის, ბუნების დამცველებისთვის და ხელს შეუწყობს უფრო ღრმა კავშირის დამყარებას ადამიანსა და ბუნებას შორის.

“ბუნების კონსერვაცია საქართველოს” გუნდისაგან (დაჩი, ელენე, ლუკა, ნინო, სანდრო და საქსონი).

Acknowledgment

On behalf of everyone who contributed their time, knowledge, and effort to this project, we are delighted to present this compact guide, made possible through the support of the UNDP Small Grants Programme.

Therefore, we extend our deepest gratitude to:

Our friends at UNDP, *whose unwavering support and guidance has been a driving force behind the project's success.*

Mzia Sharashidze and Anna Edgar, *whose scrupulous text editing have ensured clear, concise, and accurate content and elevated the quality of this publication.*

And finally to you, the dear reader. *Thank you for playing your part in the story of this book.*

It is our hope that this guide will serve you as a valuable resource, for urban birdwatching novices, enthusiasts, educators, and conservationists alike. We hope our creation helps you to get even a little closer to nature.

From team Nature Conservation Georgia (Dachi, Elene, Luka, Nino, Sandro & Saxon).

წინასიტყვაობა

ადამიანთა უმრავლესობის წარმოდგენაში გარეული ცხოველების ნახვა მხოლოდ ქალაქგარეთ შეიძლება. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ ქალაქსა თუ სხვა ტიპის დასახლებაში უამრავი სახეობის ცხოველი გვხვდება.

ურბანული ბიომრავალფეროვნება ასობით ცოცხალი ორგანიზმის ერთობლიობაა, რომლებმაც ადამიანთან თანაარსებობა ისწავლეს.

ზოგადად, რაც უფრო მრავალფეროვანია ველური სიცოცხლე ქალაქებში, მით უფრო ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხოა საცხოვრებელი გარემო ადამიანებისთვის.

რაოდენ წარმოდგენადაც უნდა გვეჩვენოს, საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებშიც კი რამდენიმე ათეული სახეობის ფრინველი ბინადრობს.

ეს სარკვევი სწორედ იმ ფრინველების ამოცნობაში დაგეხმარებათ, რომლებსაც ხშირად შეხვდებით თქვენ გარშემო.

ჩვენი ქალაქები სავსეა უნიკალური, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, სიცოცხლის ფორმებით. ჩვენი მისია მათი ხელახალი აღმოჩენა და მოფრთხილებაა.

Preface

In the minds of the majority, one can typically only observe wild animals beyond the confines of urban areas. It is crucial to be mindful of the fact that within cities and in other urban settings, a diverse range of wild species thrive.

Urban biodiversity represents the combination of countless living organisms that have adapted to coexist alongside humans.

In general, a greater variety of urban wildlife contributes to a healthier, cleaner, and safer living environment for people.

Surprisingly, within the seemingly crowded cities of Georgia, several dozen bird species exist.

This compact field guide aims to assist you in identifying the birds frequently encountered in your vicinity, your neighbourhood friends.

Our cities teem with unique, seemingly hidden life forms. Our mission is to rediscover and safeguard them.

ფრინველები ერთგვარი ელჩები არიან ადამიანებსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს შორის. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ისინი გვხვდებიან თითქმის ყველგან – როგორც დაუსახლებელ, ისე მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. შესაბამისად, მათი ნახვა და ამოცნობა ყველას შეგვიძლია. დღეისათვის მსოფლიოში 11 000-ზე მეტი სახეობის ფრინველია გავრცელებული, რომლებიც ყველა კონტინენტზე ბინადრობენ. გალობით, შეფერილობითა თუ საინტერესო ქცევებით ეს საოცარი ქმნილებები იზიდავენ და მათი უკეთეს გაცნობის სურვილს აღუძრავენ ადამიანებს.

ფრინველებზე დაკვირვება დასაბამს 1800-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იღებს. სწორედ ამ დროიდან იწყება ფრინველებზე დაკვირვების, როგორც პოპულარული კულტურული აქტივობის, ჩამოყალიბება საზოგადოებებში. რაც შეეხება ტერმინს „ფრინველებზე დაკვირვება“ (Birdwatching), ის პირველად 1901 წელს, ერთ-ერთ ჟურნალში გამოჩნდა.

როგორ დავაკვირდეთ ფრინველებს?

ფრინველებზე დაკვირვების გასაადვილებლად გვჭირდება შესაბამისი აღჭურვილობა: ტელესკოპი, ჭოგრიტი და ფრინველთა საველე სარკვევი.

ველზე სახეობის ამოსაცნობად გარჩევის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: ვიზუალური და ხმოვანი.

სხვადასხვა სახეობა, ერთი შეხედვით, შეიძლება გარეგნულად ძალიან ჰგავდეს ერთმანეთს, მაგრამ საქმე არც ისე რთულადაა. ფრინველების ვიზუალური ამოცნობისთვის რამდენიმე ძირითად კომპონენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ფიზიკური აღწერა (ზომა, ფორმა და შეფერილობა), ქცევა და საბინადრო გარემო.

ფრინველის ამოცნობისას პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის საბინადრო გარემოსა და წელიწადის დროზე, რაც დაგვეხმარება, მარტივი გამორიცხვის მეთოდით გამოვარჩიოთ ის სახეობები, რომლებიც მოცემულ მომენტში შეიძლება შეგვხვდეს. ამის შემდეგ ვაკვირდებით მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნებს.

რაც შეეხება ხმით ამოცნობას: გაითვალისწინეთ, რომ ერთ სახეობას რამდენიმე განსხვავებული ხმის გამოცემა შეუძლია და თუ მათ დაიმახსოვრებთ, ფრინველების ამოცნობა ბევრად გაგიადვილდებათ. ზოგიერთი სახეობა ძნელად შესამჩნევია, რადგან დროის უმეტეს ნაწილს მალულად – ხშირ ბუჩქნარში, ლერწმიანებსა და სხვა გაუვალ მცენარეულობაში – ატარებს. ხმებით ამოცნობის უნარი სწორედ ამგვარ შემთხვევებში გამოგადგებათ.

ხმებზე დაკვირვებისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ გარემოში ვართ, დღის რა მონაკვეთია და ზუსტად საიდან გვემის ფრინველის ხმა – ბუჩქების სიღრმიდან, ხის მაღალი იარუსებიდან, სანაპიროდან, ჭაობის ლელიანიდან თუ ციდან. თუ პირველ მცდელობაზე ბუნებაში ფრინველების აღმოჩენა გაგიჭირდებათ, გულს ნუ გაიტეხთ, რადგან მათ შემჩნევასა და ამოცნობას გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება დარწმუნებული ვართ, ჩვენი პატარა სარკვევი საუკეთესო მეგზურობას გაგიწევთ და ძალიან დაგეხმარებათ.

შენთან ახლოს მდებარე პარკში, ქალაქში მდებარე ტყეში, ან ძველ შენობებთან გასეირნებამდე, გაიხსენე ეს სავლელ სარკვევი და გაიყოლე თან. ამ გზით აღმოაჩენ, რომ ფრინველებზე დაკვირვებით, მელოდიური ხმის მოსმენით თუ მათი წარმატებით ამოცნობით, ბუნებაში გატარებული დრო უფრო მრავალფეროვანი გახდება.

As many have said, birds serve as intermediaries, connecting humans and the rest of the natural world. The primary explanation for this phenomenon is their presence in nearly all types of environments, whether sparsely inhabited or heavily populated. Consequently, the opportunity to observe and identify them is available to almost everyone.

Currently, there are over 11,000 known bird species, with inhabitants in each of the continents of our planet. Their melodic songs, vibrant plumage, and peculiar behaviours capture people's attention and foster their curiosity to delve into the study of these creatures and their habitats.

The practice of birdwatching has its origins in the beginning of the 1800s in the United States. This marks the inception of birdwatching as a popular

cultural activity within societies. Regarding the term "birdwatching," its initial appearance can be traced back to a magazine published back in 1901.

How to bird?

The right gear, including a telescope, binoculars, and field guide, can hugely enhance the experience of birdwatching. There are two primary approaches to identifying species while out in the field: visual and auditory.

Initially, distinct species might appear quite alike, however distinguishing them is an achievable and joyous task. To visually differentiate between birds, there are several key components to consider: their physical characteristics (size, shape and colouration), behaviour, and their habitats.

When identifying a bird, the initial focus should be on its surroundings and the season. These factors enable us to apply a straightforward exclusion approach, by narrowing down the range of species likely to be in the vicinity during that particular period. Following this, we delve into observing distinctive characteristics, which are unique to each individual bird species.


When it comes to the auditory identification of birds, it's important to remember that a single species can produce various distinct sounds. Remembering these sounds can greatly simplify the process of identifying the birds. Certain species can be challenging to locate because they spend most of their time hiding in thick bushes, reeds and other impenetrable vegetation. Proficiency in auditory recognition can prove invaluable in such situations.

While carrying out auditory identification, it is essential to take note of the environment, the time of day, and the precise location of the bird's vocalisation - whether it emanates from within dense bushes, the upper branches of trees, a shoreline, wetlands, or even the skies above.


Before your next walk through your local park, within a city wood, or past an older apartment block, consider taking this little guide with you. You might just find that by observing bird life, listening to their melodies, and successfully identifying them, that your time spent outside is a little richer.

ზოგადი აგებულება და მნიშვნელოვანი ტერმინები

General morphology and useful terminology



- ① პირველი რიგის მომქნევეები - Primaries
- ② მეორე რიგის მომქნევეები - Secondaries
- ③ მესამე რიგის მომქნევეები - Tertiaries
- ④ პირველი რიგის მომქნევეების მფარავები - First primary coverts
- ⑤ ფრთის დიდი მფარავები - Greater wing coverts
- ⑥ დანამატური ფრთა - Alula
- ⑦ ფრთის საშუალო მფარავები - Median primary coverts
- ⑧ ფრთის მცირე მფარავები - Lesser wing coverts
- ⑨ მხრის ბუმბულები - Scapulars



- 1. ნისკარტი - Bill
- 2. შუბლი - Forehead
- 3. თხემი - Crown
- 4. ყურის და ლოყის მფარავი ბუმბულები - Ear and cheek
- 5. კეფა - Nape
- 6. ზურგი - Back
- 7. გავა - Rump
- 8. კუდზედა მფარავები - Uppertail coverts
- 9. საჭის ბუმბულები - Tail feathers
- 10. კუდქვეშა მფარავები - Undertail coverts
- 11. ტალღა - Tarsus
- 12. ფეხი, თითებით და ბრჭყალებით - Feet (with toes and claws)
- 13. მუცელი - Belly
- 14. სხეულის გვერდი - Flank
- 15. ყელი - Throat
- 16. ნიკაბი - Chin


დამატებითი განმარტებები


Additional explanations


სარკვევის თითოეული გვერდის ბოლოში თქვენ შეამჩნევთ 12 პატარა კუბს. თითოეული კუბი აღნიშნავს წელიწადის კონკრეტულ თვეს, მაგალითისთვის - ნომერ პირველი კუბი წარმოადგენს იანვარს, მეორე - თებერვალს და ა.შ..



ამავდროულად, თითოეულ კუბს მინიჭებული აქვს ფერები, სულ გამოყენებულია სამი სხვადასხვა ფერი: მწვანე, ნარინჯისფერი და ლურჯი. ეს ფერები დაგეხმარებათ იმის გაგებაში, თუ რამდენად მაღალი ან დაბალია ალბათობა იმისა, რომ კონკრეტული სახეობის ფრინველი იხილოთ თქვენ სიახლოვეს, ურბანულ გარემოში.

 **მწვანე** – ფრინველის ნახვის მაღალი ალბათობა


 **ნარინჯისფერი** – ფრინველის ნახვის ნაკლები ალბათობა

 **ლურჯი** – ფრინველის ნახვა ამ პერიოდში შეუძლებელია


At the bottom of each page of the guide, you will observe a set of 12 small boxes. Each box corresponds to a specific month within the calendar year; for instance, the first cube corresponds to January, the second to February, and so forth.



Simultaneously, each cube is associated with one of three distinct colours: green, orange, and blue. These colour codes serve as informative indicators for assessing the chance of observing certain bird species within the urban areas.







 **Green** - high probability of observing the bird

 **Orange** - lower probability of observing the bird

 **Blue** - impossible to observe the bird

ფრინველთა ილუსტრაციებს თან ახლავს რიგი სიმბოლოები, რომლებიც დაგეხმარებათ უფრო ზუსტად ამოიცნოთ ისინი, სქესობრივი, ასაკობრივი თუ სეზონური ნიშნებით.

Alongside the illustrations you will find different symbols. These symbols will help you in more precise identification of birds depending on the sex, age and seasonal characteristics of the particular individual.

 <u>მდედრი</u> Female	 <u>გამრავლების სეზონი</u> ≈ მაი.-აგ. „ზაფხული“ Breeding season ≈ May.-Aug. “summer”	 <u>ზრდასრული</u> Adult	* #/# გაითვალისწინეთ, რომ ეს სიმბოლოები არ ასახავს ფრინველის მუხეცდრის ალბათობას, არამედ მათ შეფერვლობას ამ სეზონებთან მიმართებაში.
 <u>მამრი</u> Male	 <u>არა გამრავლების სეზონი</u> ≈ სექ.-მარ. „ზამთარი“ Non breeding season ≈ Sep.-Mar. “winter”	 <u>ახალგაზრდა</u> Juvenile	

* #/# Keep in mind that these two symbols do not indicate the probability of seeing the bird in the given period but birds' plumage of that time of the year

მაგალითად/Examples:

♀/♂,☀/❄,●/○
 მდედრი და მამრი, „ზამთარი“ და „ზაფხული“, ახალგაზრდა და ზრდასრულიც - ერთნაირია
 Both - Female & Male, in “Winter” & “Summer”, Juvenile & Adult - The Same

♀/♂,○
 ახალგაზრდა მდედრიც და მამრიც - ერთნაირია
 Juvenile Females & Males - The same

♀,☀/❄,●
 ზრდასრული მდედრი, „ზამთარი“ და „ზაფხული“ - ერთნაირია
 Adult Female, in “Summer” & “Winter” - The same

♂,☀,●
 ზრდასრული მამრი, „ზაფხული“
 Adult Male, in “summer”

სარკვევში სახეობათა გვერდების ნუმერაციას აქვს ორი ფერი - ნარინჯისფერი და მწვანე

In the guide, page numbers are colour-coded with orange and green

მწვანე - ფრინველის ნახვა მარტივადაა შესაძლებელი, მჭიდროდ დასახლებულ გარემოშიც კი.

Green - the bird species are relatively easy to observe, even in highly urbanised settings.

ნარინჯისფერი - ნახვის დაბალი ალბათობა, ცხოვრების ფარული ნირის, რაოდენობისა თუ სხვა ქცევითი თავისებურებების გამო;

Orange - low probability of encountering the particular bird species, typically due to factors such as its tendency to hide, scarcity in number, or its specific behavioural traits.

No	Latin Name	ქართული სახელი	Common Name	✓
ქორისებრნი / Accipitridae				
22	<i>Accipiter nisus</i>	მიმინო	Eurasian sparrowhawk	<input type="checkbox"/>
შავარდნისებრნი / Falconidae				
19	<i>Falco tinnunculus</i>	ჩვეულებრივი კირკიტა	Common kestrel	<input type="checkbox"/>
მტრედისებრნი / Columbidae				
4	<i>Columba livia „domestica“</i>	ქალაქის მტრედი	Feral pigeon	<input type="checkbox"/>
5	<i>Spilopelia senegalensis</i>	სენეგალური (მცირე) გვრიტი	Laughing dove	<input type="checkbox"/>
6	<i>Streptopelia decaocto</i>	საყელიანი გვრიტი	Eurasian collared-dove	<input type="checkbox"/>
ბუსებრნი / Strigidae				
23	<i>Athene noctua</i>	ჭოტი	Little owl	<input type="checkbox"/>
24	<i>Onus scops</i>	წყრომი	Scops owl	<input type="checkbox"/>
ნამგალასებრნი / Apodidae				
1	<i>Apus apus</i>	ნამგალა	Common swift	<input type="checkbox"/>
კოდალასებრნი / Picidae				
26	<i>Dendrocopos major</i>	დიდი ჭრელი კოდალა	Great spotted woodpecker	<input type="checkbox"/>
27	<i>Dendrocopos medius</i>	საშუალო ჭრელი კოდალა	Middle spotted woodpecker	<input type="checkbox"/>
28	<i>Dendrocopos minor</i>	მცირე ჭრელი კოდალა	Lesser spotted woodpecker	<input type="checkbox"/>
25	<i>Picus viridis</i>	მწვანე კოდალა	Green woodpecker	<input type="checkbox"/>
მერცხლისებრნი / Hirundinidae				
3	<i>Delichon urbicum</i>	ქალაქის მერცხალი	Northern house martin	<input type="checkbox"/>
2	<i>Hirundo rustica</i>	სოდლის მერცხალი	Barn swallow	<input type="checkbox"/>
ბოლოქანქარასებრნი / Motacillidae				
18	<i>Motacilla alba</i>	თეთრი ბოლოქანქარა	White wagtail	<input type="checkbox"/>
მემატლიასებრნი / Muscicapidae				
21	<i>Erithacus rubecula</i>	გულწითელა	European robin	<input type="checkbox"/>
20	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	Common redstart	<input type="checkbox"/>
შაშვისებრნი / Turdidae				
16	<i>Turdus merula</i>	შავი შაშვი	Eurasian blackbird	<input type="checkbox"/>
წივწივასებრნი / Paridae				
12	<i>Cyanistes caeruleus</i>	მოლურჯო წივწივა	Blue tit	<input type="checkbox"/>
11	<i>Parus major</i>	დიდი წივწივა	Great tit	<input type="checkbox"/>
ყორისებრნი / Corvidae				
13	<i>Corvus cornix</i>	რუხი ყვავი	Hooded crow	<input type="checkbox"/>
15	<i>Garrulus glandarius</i>	ჩხიკვი	Eurasian jay	<input type="checkbox"/>
14	<i>Pica pica</i>	კაჭკაჭი	Eurasian magpie	<input type="checkbox"/>
შოშიასებრნი / Sturnidae				
17	<i>Sturnus vulgaris</i>	შოშია	Common starling	<input type="checkbox"/>
ბელურასებრნი / Passeridae				
7	<i>Passer domesticus</i>	სახლის ბელურა	House sparrow	<input type="checkbox"/>
მთიულასებრნი / Fringillidae				
9	<i>Carduelis carduelis</i>	ჩიტბატონა	European goldfinch	<input type="checkbox"/>
10	<i>Chloris chloris</i>	მწვანულა	European greenfinch	<input type="checkbox"/>
8	<i>Fringilla coelebs</i>	სკვინჩა	Common chaffinch	<input type="checkbox"/>

ნამგალა / Common swift

Apus apus



ოჯახი: ნამგალასებრნი / Apodidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 4-10 წელი
სიგრძე: 17-18 სმ
ფრთაშლილი: 40-44 სმ

Family: Apodidae
Average lifespan: 4-10 years
Total body length: 17-18 cm
Wingspan: 40-44 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

მუქი, მოშავო-მოყავისფრო ფრინველია თეთრი ნიკაპითა და ყელით. ფრთის მთავარი მომქნევები ტანთან შედარებით ღია ფერისაა. შეიძლება აგერიოთ მერცხალში, მაგრამ მისგან დიდი ზომის ნამგლისებური ფრთები, მუქი შეფერილობა და დამახასიათებელი „მყვირალა“ ხმა განასხვავებს.

გავრცელება

გამრავლების პერიოდში გვხვდება ევროპაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. იზამთრებს ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში. საქართველოს მობუდარი პოპულაცია¹ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული. განსაკუთრებით მრავლად არიან დიდ ქალაქებში, სადაც მათთვის საბუდრად გამოსადეგი ბევრი მაღალი შენობაა.

საბინადრო გარემო

საბინადრო არეალს ძირითადად ზომიერი სარტყლის ტერიტორიები წარმოადგენს, სადაც მრავლადაა საბუდრად გამოსადეგი დიდი ზომის ფულუროიანი ხეები, კლდეები, საცხოვრებელი კორპუსები და სხვა მაღალი შენობა-ნაგებობები. საკვების მოსაპოვებლად გამოილი, ღია სივრცე ესაჭიროება.

კვება

მწერიჭამიაა. იკვებება მხოლოდ ფრენის დროს დაჭერილი მწერებით. ერთ ჯერზე საკმარისი რაოდენობის საკვების მოსაპოვებლად პირში ერთგვარ „საკვების გუნდას“ წარმოქმნის, რომელშიც 200-300 მწერი შეიძლება მოაგროვოს.

საქართველოში მობუდარი და გადაზღვრება.

ნამგალა მიწაზე თითქმის არასდროს ჯდება. მას ტანთან შედარებით საკმაოდ გრძელი ფრთები აქვს, რაც ჩამოვარდნის შემთხვევაში ჰაერში აფრენას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. თუ ჩამოვარდნილ ზრდასრულ ნამგალას იპოვით, კარგად დაათვალიერეთ, დარწმუნდით, რომ დაშვებულნი არ არის და სიმაღლეზე დასვით, ან უბრალოდ, დონივრად აისროლეთ ჰაერში – ის თვითონ გაფრინდება.

Description of physical appearance (identification)

The common swift has a dark, blackish-brown plumage. It has a white chin and throat that provide a contrasting colouration. The primary wing feathers are lighter in colour compared to the body. While it may bear some resemblance to swallows, the common swift stands out with its large sickle-shaped wings. Has a characteristic “screaming” sound.

Distribution

During the breeding season, the common swift can be found in Europe, Central and Eastern Asia, and North Africa. It spends winters in central and southern Africa. Nesting populations can be found in almost all regions of Georgia. They are particularly abundant in large cities, where tall buildings provide suitable shelters.

Habitat

The common swift is predominantly found in residential areas within the temperate zone. These areas are characterised by an abundance of large hollow trees, rocks, residential buildings, and other tall structures that provide suitable nesting sites for the birds. Swifts require ample open space in order to forage effectively, which is also found in cities.

Feeding

The common swift is an insectivorous bird, exclusively feeding on insects captured while in flight. To gather a substantial amount of food in one go, it forms a specialised “food mound” in its mouth, capable of holding around 200-300 insects at a time.

A resident and migratory bird of Georgia.

With long wings in comparison to its body, the common swift is unable to take off from the ground if it falls. As a result, it is crucial to avoid letting the bird come into contact with the ground. If you come across a fallen adult individual, carefully inspect it to ensure it is unharmed, and then place it in an elevated position or give it a gentle toss into the air. By doing so, the bird will regain its ability to fly and continue its journey independently.

1 ერთი სახეობის იდენტიფიკების ჯგუფი, რომლებიც ერთ გეოგრაფიულ არეალზე ბინადრობენ და შეჯვარების უნარი აქვთ.



მრავლდება შენობების ნაპრალებსა და ღარებში. მოკლე ფეხებით მოხერხებულად ეჭიდება კედლებს

Nests in the cracks and crevices of buildings, and may be found perching on wall faces due to its very short legs



მოყავისფრო შავი მთლიანობაში. წვეტიანი, ნამგლის ფორმის, გრძელი ფრთები

Completely brown to black colouration, pointy wings that look bow-shaped when in flight

♀/♂;☀/☀,●

მოკლე მაკრატელა კუდი

Short, scissor-like tail

LC



ტერიტორიული ქცევა. ჯგუფი ხმამაღალი ჭყვილით ძალიან სწრაფად დაფრინავს

Groups can be highly territorial, moving quickly and sharply, making lots of noise



ოჯახი: მერცხლისებრნი / Hirundinidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 4-8 წელი
სიგრძე: 17-21 სმ
ფრთაშლილი: 31,8-34,3 სმ

Family: Hirundinidae
Average lifespan: 4-8 years
Total body length: 17-21 cm
Wingspan: 31,8-34,3 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

ყველასთვის კარგად ნაცნობი ფრინველია. გამოირჩევა დამახასიათებელი გარეგნობით: აქვს გრძელი, წვეტიანი ფრთები და მაკრატლისებრი კუდი წვრილი, წაგრძელებული დაბოლოებებით; ზურგზე ლურჯი ბინივარება დაჰკრავს, გულზე მოშავო ლურჯი სარტყელი დაჰკვება; მუცელი თეთრი ან ჩალისფერია, ყელი და შუბლი – სისხლისფერი წითელი. დაფრინავს სწრაფად და ძლიერად, წვეტილი ბიძგებით, ხშირად – მიწასთან ან წყლის ზედაპირთან ახლოს. ორივე სქესი მსგავსია, მაგრამ მამრს, უმეტეს შემთხვევაში, კუდის უფრო წვრილი და წაგრძელებული დაბოლოებები აქვს. ახალგაზრდა: კუდი შედარებით მოკლეა, ბლავგი დაბოლოებებით, ყელი და შუბლი ჯანისფერი თეთრი ან მოყავისფრო ვარდისფერია (და არა სისხლისფერი წითელი).

გავრცელება

გავრცელებულია ყველა ბიოგეოგრაფიულ რეგიონში, გარდა ავსტრალიისა და ანტარქტიდისა. გამრავლების პერიოდში გვხვდება ევროპასა და აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. იზამთრებს სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთის სამხრეთის ზოგირთ ნაწილში.

საბინადრო გარემო

ურბანული სახეობის ფრინველია. გვხვდება ქალაქებში, სოფლებსა და ფერმებში. გადაფრენის პერიოდში მცირე ჯგუფები დასასვენებლად ხშირად ჩერდებიან ლერწმიანებში.

კვება

მწერიჭამიაა. ძირითადად ფრენის დროს ნადირობს, ხშირად – საძოვრებზე, პირუტყვთან ახლოს.

საქართველოში მოხუდარი და გადამფრენია.

Description of physical appearance (identification)

The barn swallow is well-known to the general public. It can be distinguished from other species by unique features including long, pointed wings, a scissor-shaped tail with thin, extended tips, a blue-green gloss on the back, a blackish-blue band across the chest, a bright red throat, and a white or light brown underside. When flying, it frequently hovers near the ground or water surface while moving swiftly and forcefully, sometimes even drinking water while in flight. Although male and female are almost identical in appearance, males tend to have thinner and longer tail tips. Young individuals can be recognised by their relatively short, blunt tail tips and their pinkish-brown or rusty-white forehead and throat, instead of the vivid red colour of adult individuals.

Distribution

The barn swallow is found in all biogeographic regions except for Australia and Antarctica. During the breeding season, it can be found in Europe and Asia, the Middle East, North Africa, and North America. It spends winters in South America, South Asia, and some southern parts of the Middle East.

Habitat

The barn swallow is an urban bird. It is usually found in cities, small villages and farmyards. During migration, small groups often stop to rest in the reeds.

Feeding

The barn swallow primarily feeds on insects. It hunts while in flight, often in close proximity to livestock in grasslands or pastures.

A resident and migratory bird of Georgia.

ახალგაზრდა არ გამოირჩევა მზინვარე ლურჯი ელფერითა და ჟანგისფერი წითელი ყელით

Juveniles do not have glossy blue tint and a rusty red throat

♀/♂, ○

♂, ✨, ●

მოკლე კუდი ახალგაზრდებში

Shorter tails in juveniles

მაკრატელა გრძელი კუდი

Long, scissor-shaped tail

LC

ზრდასრული მდედრის კუდი მამრთან შედარებით მოკლეა


Adult females may have shorter tails than adult males

მკვეთრად დამახასიათებელი ფორმები რთული განათების პირობებშიც

Unique silhouette makes individuals distinctive, even in adverse conditions

ზურგი მთლიანად მუქი

Dark backs, that contrast from pale front





Delichon urbicum

ოჯახი: მერცხლისებრნი / Hirundinidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 5-14 წელი
სიგრძე: 13.5-15 სმ
ფრთაშლილი: 26-29 სმ

Family: Hirundinidae
Average lifespan: 5-14 years
Total body length: 13.5-15 cm
Wingspan: 26-29 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 ამოცნობა ადვილია მუქი, მოშავო ზურგისგან მკვეთრად გამოყოფილი თეთრი წელითა და ქვედა ნაწილით. თხემი, მხრის ბუმბული და ზურგი ლურჯი ბზინვარებით გამოირჩევა. კუდი შავია, მოკლე, ნაწილობრივ დაკბილული. მიწაზე ან წყლის გუბესთან ტალახის შესაგროვებლად დაჯდომისას შესამჩნევია თეთრი ბუმბულით დაფარული ფეხები. ნამგალასაკით სწრაფად არ დაფრინავს. ახალგაზრდა: ზრდასრულის მსგავსა, მაგრამ ლურჯი ბზინვარება თითქმის არ ეტყობა; ყელი და მკერდის ზედა ნაწილი მოყავისფრო ნაცრისფერია.

გავრცელება
 მრავლდება ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში. გამოზამთრებისა და მიგრაციის დროს გვხვდება ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, ტროპიკულ აზიაში.

საბინადრო გარემო
 საბინადროდ ირჩევს მთიან ადგილებს, წყალთან ახლოს მდებარე ტერიტორიებს. არ ერიდება დასახლებულ პუნქტებს – ქალაქებს, სოფლებს, ფერმებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

კვება
 მწერიჭამიაა. ძირითადად ფრენის დროს ნადირობს.

საქართველოში მოხუდარი და გადამფრენია.

ქალაქის მერცხალი ყოველთვის არ ამართლებს თავის სახელს და ხშირად ქალაქებისგან საკმაოდ მოშორებითაც – მაღალმთიან რეგიონებში – კლდეებზე მოხუდარ დიდ კოლონიებად გვხვდება.

Description of physical appearance (identification)
 The Northern house martin can be easily recognised by its white waist and underparts, which sharply contrast with its dark, blackish back. The bird's crest, shoulder feathers, and back have a noticeable blue sheen. Its tail is short, black, and partially serrated. When perched on the ground or near water puddles to collect mud for nest building, the bird's feet, covered with white feathers, become visible. In terms of flight speed, it is not as quick as the common swift. As for young individuals, they bear similarities to adults but lack the blue sheen described above. Instead, their throat and upper breast have a brownish-grey colouration.

Distribution
 The northern house martin is commonly found across various regions of Europe, Central and Western Asia during the breeding season. However, during winter and migration periods, it can be observed in the Middle East, Africa, and tropical parts of Asia.

Habitat
 The northern house martin usually selects mountainous regions and areas near water as its preferred habitat. The bird is not hesitant to inhabit human-populated areas, including cities, villages, farms, and agricultural fields.

Feeding
 The northern house martin primarily feeds on insects and is considered insectivorous. It relies heavily on hunting while in flight to capture insects.

A resident and migratory bird of Georgia.

The northern house martin occasionally contradicts its name (in Georgian it is referred to as city swallow), as it is frequently observed in places far from urban areas, such as high cliffs and alpine meadows.

თვალსაჩინოდ თეთრი გავა,
ხილვადი შორ მანძილსა და ცუდ
განათებაშიც

Distinctive white rump, visible from
afar and in bad light conditions

გამოკვეთილად მოკლე კუდი,
განსხვავებით სოფლის მერცხლისგან

Short fork-tail compared to barn swallow

განათებასთან ერთად
შეიძლება იცვლებოდეს ზოგადი
შეფერილობა, მუქი ყავისფერიდან
მბზინვარე მუქი ლურჯისკენ

Colouration can change depending on
light conditions, from dark brown to
glossy dark blue

LC

♀/♂,*/**,●

ხშირად ბუდობს შენობა ნაგებობების
ღრუბებსა და კუთხეებში

Often builds nest on building crevices
and corners

ახალგაზრდა ინდივიდი
მეტად უფერულია, ვიდრე
ზრდასრული

Juveniles have duller and
paler colouration



სოფლის მერცხლისგან
განსხვავებით, ბუდე უმეტესად
სრულად დახურულია და აქვს
მცირე ხვრელი ზემოთ

Unlike barn swallow nests, they
are often fully closed, and have a
small entrance hole on top

ქალაქის მტრედი / Feral pigeon

Columba livia „domestica“



ოჯახი: მტრედისებრნი / Columbidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 6-35 წელი
სიგრძე: 30-35 სმ
ფრთაშლილი: 62-72 სმ

Family: Columbidae
Average lifespan: 6-35 years
Total body length: 30-35 cm
Wingspan: 62-72 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 მუქი თავი, კისერი და მკერდი მკვეთრად გამოიყოფა ბაცი მონაცრისფრო ზურგისა და მომწვევების მფარავების ფონზე. ფრთის შიდა მხარე თეთრია; გარედან, ბოლოში, 2 შავი ზოლი გასდევს. გავა თოვლივით თეთრია, თვალები – მოწითალო, ნისკარტი – მუქი. შეიძლება შეგვხვდეს ფერის სხვადასხვა ვარიაციები: თეთრი, მოყავისფრო, მუქი ნაცრისფერი. ახასიათებს ფრენის სწრაფი, ძლიერი სტილი.

გავრცელება
 გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპასა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში.

საბინადრო გარემო
 სახლის ბელურის მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ურბანული სახეობაა. ბინადრობს ძირითადად დიდ ქალაქებსა და მათ შემოგარენში.

კვება
 ომნივორია¹. მიუხედავად იმისა, რომ მწერებითა და ობობებითაც იკვებება, უპირატესობას მცენარეულ საკვებს (თესვლები, კენკრა, ხილი) ანიჭებს.

საქართველოში მოხინდრვა.

Description of physical appearance (identification)
 The feral pigeon is characterised by its distinct dark head and neck, along with a combination of light grey feathers on the wings and back. The inner part of its wings are white, with noticeable black stripes on the underside. Its face is white, complemented by reddish eyes, and a dark-coloured beak. The feral pigeon can be found in various other colour variations, including white, brownish, and dark grey. This bird is known for its agile and powerful flight.

Distribution
 The feral pigeon is widespread in North Africa, Europe, and South-West Asia.

Habitat
 Similar to the house sparrow, the feral pigeon is one of the most abundant urban species, primarily residing in large cities and their surrounding areas.

Feeding
 The feral pigeon has an omnivorous diet, made up of a variety of food sources. While it does consume insects and spiders, its primary preference is for plant-based foods. This includes a selection of seeds, berries, and fruits.

A resident bird of Georgia.

¹ ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც ერთდროულად იკვებებიან მცენარეებით, ცხოველის ხორციით, მწერებითა და სოკოებით.



მათი ხილვა ქალაქის ფაქტობრივად ყველა ნაწილშია შესაძლებელი

Can be found in abundance across cities



Columba livia

გარეული მტრედი (*Columba livia*) - ველური სახეობა, საიდანაც წარმოიშვა ქალაქის მტრედი


The feral pigeon is a descendant of the rock pigeon (*Columba livia*)



LC

ქალაქის მტრედის შეფერილობა შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი იყოს

Feral pigeons can be highly diverse in tone and pattern



♀/♂, ✱/✱, ●

მამრის ყელი გამრავლებისას უფრო მბზინვარეა, თვალი მეტად წითელი

Male's throats become more glossy in the breeding period and their eyes become more red



ოჯახი: მტრედისებრი / Columbidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 5-10 წელი
სიგრძე: 23-26 სმ
ფრთაშლილი: 40-45 სმ

Family: Columbidae
Average lifespan: 5-10 years
Total body length: 23-26 cm
Wingspan: 40-45 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

საშუალო ზომის მოყავისფრო ფრინველია წაგრძელებული სხეულითა და გრძელი კუდით. ერთი შეხედვით, მტრედსაც წააგავს. ფრენისას, კუდის ზედა ნაწილის მოხატულობითა და ფრთის მუქი ქვედა მხარით, ჩვეულებრივ გვრიტს (Turtle dove) ჰგავს. სენეგალური გვრიტის განსხვავება შესაძლებელია ყავისფერი ზურგით (ცენტრში შავი ბუმბულის გარეშე), შესამჩნევად გრძელი კუდითა და მოკლე ფრთებით; ამასთან, ჩვეულებრივი გვრიტი ურიდება დასახლებულ ადგილებს. შეიძლება აგერიოთ საყელოიან გვრიტში, მაგრამ მასთან შედარებით უფრო მუქია, ყელზე შავი წერტილები აქვს და ზომითაც პატარაა.

გავრცელება

გავრცელებულია ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში, ერაყში, ირანში, ავღანეთში, პაკისტანში, საუდის არაბეთსა და აფრიკაში.

საბინადრო გარემო

ძირითადად გვხვდება ტყის პირებში, ბაღებში, სკვერებში, ხშირად – საცხოვრებელ სახლებთან ახლოს. არ ურიდება ურბანულ გარემოს. უდაბნოს ოაზისების ტიპური ფრინველია.

კვება

იკვებება მცენარეული საკვებით.

საქართველოში მოხინდრეა.

Description of physical appearance (identification)

The laughing dove is a medium-sized bird with a slender body and a long tail. It has brown plumage, and at first glance, it may resemble a pigeon. However, there are distinct features that set it apart from the collared dove, such as its smaller size and the presence of black patches on its throat. During flight, the laughing dove displays a colourful upper tail and dark underwing, giving it a resemblance to the turtle dove. However, it can be distinguished from the Turtle dove by its shorter wings, notably longer tail, and brown back without black feathers in the centre.

Distribution

The Laughing dove is commonly found across central and western Asia, including countries such as Iraq, Iran, Afghanistan, Pakistan, Saudi Arabia, as well as various regions in Africa.

Habitat

The laughing dove is frequently spotted in close proximity to residential areas and is commonly sighted in parks, plantations, and forested regions. It is unfazed by urban settings and exhibits adaptability to city living. Additionally, this bird is a characteristic dweller of desert oases.


Feeding

The laughing dove has a primarily plant-based diet.

A resident bird of Georgia.

ფრთის ქვედა
მხარე მუქია

Darker underwing



ნაკლები თეთრი

Less white
than that of the
collared dove

განსაკუთრებით ძველი
და წყნარი დასახლებების
მოყვარული (ძველი თბილისი),
გასაოცრად თამაში

Commonly found around older
and quieter urban area, such
as Old Tbilisi, surprising calm
around humans

♂, ☀, ●

მზიხვარე
ოქროსფერი
საყელო

Prominent
rusted gold
collar

LC

მდერი შიძლება
ოდნავ ჩამქრალი
ღია ფერის იყოს

Females may be
distinguished by
a slightly duller
colouration

პატარა და სუსტი
აღნაგობა

A generally slim build

♀, ☀, ●





ოჯახი: მტრედისებრნი / Columbidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 18-19 წელი
სიგრძე: 29-33 სმ
ფრთაშლილი: 48-53 სმ

Family: Columbidae
Average lifespan: 18-19 years
Total body length: 29-33 cm
Wingspan: 48-53 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 საშუალო ზომის მონაცრისფრო-მოყავისფრო ფრინველია. ერთი შეხედვით, მტრედსაც წააგავს. მის ამოცნობას აადვილებს შავი, წვრილი ზოლი კისერზე, რომელსაც თეთრი კანტი აქვს შემოვლებული. თავზე მკვეთრად გამოიყოფა მუქი თვალი. შეიძლება აგერიით სენეგალურ გვრიტში, მაგრამ მასთან შედარებით გაცილებით ღია შეფერილობისაა.

გავრცელება
 გავრცელებულია ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში (გარდა მაღალმთიანი რეგიონებისა), ახლო აღმოსავლეთში, შრი-ლანკაზე, ჩინეთსა და კორეაში.

საბინადრო გარემო
 ძირითადად გვხვდება ქალაქებში, პარკებსა და სკვერებში, იქ, სადაც საკმარისად დიდი ხეები ბუდეების ასაშენებლად; ასევე – ფერმებთან ახლოს, დაბლობებზე.

კვება
 იკვებება მცენარეული საკვებით (ძირითადად მარცვლეული), ხშირად – კულტივირებულ მინდვრებში.

საქართველოში მოხინდრვა.

Description of physical appearance (identification)

The Eurasian collared-dove is a medium-sized bird with grey-brown plumage. At first glance, it may resemble a pigeon, but what sets it apart is the distinct black collar around its neck, bordered by white feathers. Its overall appearance is characterised by a light colouration that contrasts against its dark eyes. Although it is noticeably lighter than the laughing dove, there is a resemblance between the two birds that can lead to confusion.

Distribution

The Eurasian collared dove is a widely distributed species found across most parts of the world, except for the highland regions of Europe, the Middle East, Sri Lanka, China, and Korea.

Habitat

The Eurasian collared-dove is frequently observed in urban areas, public spaces, and parks that offer suitable nesting places. It is also commonly seen in agricultural areas and open plains.


Feeding

The Eurasian collared-dove has a primarily plant-based diet.

A resident bird of Georgia.

ფრთის ქვედა
მხარე ღიაა

Paler underwing



მეტი თეთრი

More white
than that of the
laughing dove

გარეუბნების მოყვარულია.
უპირატესობას ანიჭებს
წიწვოვან ხეებს

Prefers the suburbs,
favouring coniferous trees



LC

მდედრი შეიძლება
ოდნაკ ჩამქრალი ფერის
იყოს, ვარდისფერი
ელფერის გარეშე

Females can be distin-
guished by a duller wash,
without the pink tone of
the male

მცირე გვრიტან
შედარებით, მასიური
და დიდა

A heavier, stockier build
than that of the laughing
dove





ოჯახი: ბელურასებრნი / Passeridae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 3-5 წელი
სიგრძე: 14-16 სმ
ფრთაშლილი: 20-25 სმ

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 საშუალო ზომის ბელურასნაირი ფრინველია. სხეულის საერთო შეფერილობა მოყავისფრო რუხია. სქესობრივი დიმორფიზმი² მკვეთრადაა გამოხატული. მამრი: თავი და ფრთები მუქი ყავისფერია, ლოყები – თეთრი, შუბლი მონაცრისფროა, ყელი – შავი. მდედრი: თავი და ფრთები ბაცი ყავისფერია, მუცელი კი – მონაცრისფრო.

გავრცელება
 გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტის უმეტეს ნაწილში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

საბინადრო გარემო
 ერთ-ერთი ყველაზე ურბანული სახეობაა მსოფლიოში. დამოკიდებულია ადამიანის გავრცელების არეალზე და თითქმის ყველა დასახლებულ ადგილას გვხვდება.

კვება
 ომნივორია. იკვებება როგორც მცენარეული (თესლები, კენკრა), ისე ცხოველური საკვებით (მწერები და მათი ლარვები).

საქართველოში მოხუდარია.

გაგიკვირდებათ და, ის ბელურა, რომელზეც ასე გვაქვს თვალი შეჩვეული, სულაც არაა საქართველოში გავრცელებული ერთადერთი სახეობის ბელურა. ჩვენს ქვეყანაში 6 სახეობის ბელურა გვხვდება, უბრალოდ ისინი ძირითადად ურბანული გარემოსგან მოშორებით ბინადრობენ. ქალაქგარეთ გასვლისას გულდასმით დაათვალიერეთ მინდვრები და ფერმების შემოგარენი – შეიძლება განსხვავებული სახეობის ბელურები აღმოაჩინოთ.

Family: Passeridae
Average lifespan: 3-5 years
Total body length: 14-16 cm
Wingspan: 20-25 cm

Description of physical appearance (identification)

The house sparrow is a medium-sized bird from the Passeridae family. It displays a general plumage colouration of brownish grey. There is a notable sexual dimorphism². In males, the head and wings have a dark brown hue, while the cheeks are white. The forehead appears greyish, and the throat is black in colour. Females, on the other hand, have a lighter brown colouration on the head and wings, and the belly has a greyish tone.

Distribution

The house sparrow has a wide distribution across much of the Eurasian continent, including North Africa and the Middle East.

Habitat

The house sparrow is recognised as one of the most prevalent bird species in urban environments worldwide. It thrives in areas where human populations are concentrated and can be observed in nearly all populated locations.

Feeding

The house sparrow is an omnivorous bird, meaning it has a varied diet that includes both plant-based and animal-based food sources. It feeds on seeds and berries, as well as animal food such as insects and their larvae.

A resident bird of Georgia.

It might come as a surprise that the familiar sparrow we commonly observe is not the only species of sparrow common in Georgia. Georgia is home to six sparrow species, although most other species are primarily present outside the urban areas. If you venture beyond the city limits and carefully observe areas near fields and farms, you might come across various other sparrow species.

1 მორფოლოგიური ხასიათის ნიშნები (პირველადი სქესობრივი ნიშნების გარდა), რომლებიც განასხვავებენ მამრ ინდივიდებს მდედრებისგან

2 The occurrence of morphological differences (other than primary sexual characters) that distinguish males from females of a species of organism

არ აქვს მკვეთრი ნიშნები სახეზე.
სადა და უფერული მთლიანობაში

Smooth and soft nutty brown to cream,
with no prominent facial markings



♀, ☀, ❄, ●

ქალაქის განუყოფელი
ელემენტი. მკუდრო
დასახლებებისა და
სკვერების მოყვარული

Ubiquitous in cityscapes, com-
monly found in more peaceful,
walkable areas

მამრი ზამთარში უფერულდება
და კარგავს მკვეთრ
შეფერილობას


Males lose saturated colouration
during winter period



♂, ☀, ❄, ●

მკვეთრი ნიშნები
სახეზე და
ზოგადი მკვეთრი
შეფერილობა

Jet black markings on
face, with a generally
bright colouration



ტიპური სცენა ქალაქში

Common kestrels exhibit a particular fondness for Soviet-era apartment blocks within Tbilisi. The majority of these old buildings feature windows or vent-like spaces near their uppermost floors, which serve as a preferred nesting place for these birds. When you walk around Soviet tower blocks, you will at least hear (if not see) them, and their excited clee-clee calls.



ტიპური ლივლივი ჰაერში,
ერთ ადგილას

Typical hovering scene

წვეტიანი ფრთები და
გრძელი კუდი

Pointy, arrow-shaped wings,
and a long tail



♀, ✱, ✱, ●

ნაცრისფერი თავი / Head is grey,
with a slight blue tinge

♂, ✱, ✱, ●



კორპუსების
განსაკუთრებული
მოყვარული

Have a strong
preference for old
tower blocks

♂

♀/♂, ○

ბუდიდან ახალგაზრდობის
ინდივიდები ხშირად
ულოდებიან მშობლებს,
კორპუსების კიდეებზე

Fledglings often perch on
building apertures, waiting
for their parents to bring food



LC

♀



ოჯახი: მემატლიასებრი / Muscicapidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 7-9 წელი
სიგრძე: 13-14 სმ
ფრთაშლილი: 20-24 სმ

Family: Muscicapidae
Average lifespan: 7-9 years
Total body length: 13-14 cm
Wingspan: 20-24 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

მცირე ზომის ფრინველია ორივე სქესისთვის დამახასიათებელი მუღმივად მოძრავი, წითელი კუდი. სქესობრივი დიმორფიზმი მკვეთრადაა გამოხატული. მდედრის საერთო შეფერილობა ჩალისფერია. მამრი: ზურგი ნაცრისფერია, მკერდი – მონარინჯისფერი; ყელი და სახე შავია, ხოლო შუბლი – თეთრი. ადვილი ამოსაცნობია მოძრავი, ცეცხლისფერი კუდის გამო. ხშირად ვნახავთ ღობეებსა და სახურავებზე ჩამომჯდარს.

გავრცელება

გამრავლების პერიოდში გვხვდება ევროპაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. უმეტესობა ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში იზამთრებს, მცირე ნაწილი – ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს მოზუდარი პოპულაცია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული. გვხვდება ზღვის დონიდან 2000 მეტრამდეც კი. ხშირად ვნახავთ ქალაქების პარკებსა და სკვერებში.

საბინადრო გარემო

ძირითად პაბიტატს ტყით დაფარული ტერიტორიები, ბაღები და სკვერები წარმოადგენს; განსაკუთრებით იმგვარი ადგილები, სადაც მრავლადაა დიდი ზომის (ხშირად გამხმარი) ხეები, რომლებსაც საუფრად იყენებს.

კვება

ომნივორია. იკვებება როგორც მცენარეული (თესლები, კენკრა), ისე ცხოველური საკვებით (მწერები და მათი ლარვები).

საქართველოში მოზუდარი და გადამფრენია.

ურბანულ გარემოში ეს ფრინველები ხშირად უჩვეულო საბუდარ ადგილებს ირჩევენ ხოლმე. ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ გაზის მრიცხველში ბუმბულებისა და ჩალაბულის გროვას თუ გადააწყდებით, ეს, სავარაუდოდ, ჩვეულებრივი ბოლოცეხლას ბუდე იქნება.

Description of physical appearance (identification)

The common redstart is a small bird, known for its distinct feature of a constantly moving red tail, which is observed in both males and females. This species exhibits clear sexual dimorphism. Males have a grey-coloured back and an orange chest. Their throat and face are black, while the forehead is white. Females have a straw-coloured overall plumage. One can easily identify this bird by its conspicuous, fiery tail, which is frequently seen in motion. It is often observed perched on fences and roofs.

Distribution

During the breeding season, the common redstart can be found in various regions including Europe, Central and Eastern Asia, and North Africa. In Georgia, the nesting population of common redstarts is distributed throughout the country, spanning across different regions. Interestingly, they can even be observed at elevations of up to 2000 metres above sea level. It is not uncommon to spot them in city parks and squares, adding a lively presence to these urban environments.

Habitat

The common redstart primarily inhabits forested areas, gardens, and squares, with a particular preference for locations abundant in large trees, often dry trees that serve as a suitable shelter for the bird. These habitats provide the necessary resources and conditions for the common redstart to thrive.

Feeding

The common redstart is an omnivorous bird, meaning it has a diverse diet that includes both plant-based and animal-based food sources. It feeds on various plant materials such as seeds and berries, as well as insects and their larvae.

A resident and migratory bird of Georgia.

If you discover a collection of feathers and dry grass within an outdoor gas metre, chances are that it is the work of a common redstart. In urban areas, they frequently opt for unconventional nesting spots.



ზშირად საბუღრად უჩვეულო ადგილებს ირჩევს

Can often be found nesting in unexpected places



♂, ☀, ●


LC

ღია მიწისფერი

Light earthy colours

მამრები ზამთარში კარგავენ მკვეთრ შეფერილობას

Males lose their bright colouration over winter




♀, ☀, ❄, ●

მკვეთრი წითელი კუდი ორივე სქესში

Rusty red tail in both sexes

თეთრი სარკე მეორე რიგის მომქნეველებზე

White panels



♂, ☀, ●

P.p samamensis
(კავკასია, თურქეთი/
Caucasus, Turkey)



ოჯახი: მემატლიასებრნი / Muscicapidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 12-15 წელი
სიგრძე: 12.5-14 სმ
ფრთაშლილი: 20-22 სმ

Family: Muscicapidae
Average lifespan: 12-15 years
Total body length: 12.5-14 cm
Wingspan: 20-22 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

პატარა ზომის ფრინველია ჟანგისფერი წითელი მკერდითა (ამავე შეფერილობისაა სახეც) და წვრილი ყვირელი მფარავებით (ახალგაზრდაზე უფრო შესამჩნევია). აქვს წვრილი და შედარებით გრძელი ფეხები. ახალგაზრდა: ბუმბულიანი საფარველი მთლიანად კოპლებითაა დაფარული; მკერდი ნაკლებად მკვეთრი წითელია. გულწითელას ცხოვრების საკმაოდ ფარული ნირიდან გამომდინარე, მისი ხმის გაგონება უფრო ადვილია, ვიდრე დანახვა.

გავრცელება

გავრცელებულია ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

საბინადრო გარემო

ძირითად ჰაბიტატს ტყით დაფარული ტერიტორიები, ბაღები და სკვერები წარმოადგენს; განსაკუთრებით იმგვარი ადგილები, სადაც მრავლადაა დიდი ზომის (ხშირად გამხმარი) ხეები, რომლებსაც საბუდრად იყენებს.

კვება

გამრავლების პერიოდში ძირითადად მწერებით, ჭიებითა და სხვა უხერხემლოებით იკვებება, შემოდგომასა და ზამთარში კი – თესვებით, კენკრითა და ხლით.

საქართველოში მოხინდრვა.

დიდი ქალაქების მცხოვრებლებს გულწითელას ხმა ხშირად გვესმის, მაგრამ მის შემჩნევას იშვიათად ვახერხებთ. ამის მიზეზი მისი ცხოვრების ნირია – ის ძირითადად ბარდებშია შემალული და იქიდან გვანებოვრებს საამური გალობით.

Description of physical appearance (identification)

The European robin is a small bird with a reddish-brown chest, with its face exhibiting a similar hue. It has slender yellow feathers, particularly noticeable in young individuals. Its legs are thin and relatively long. In the case of young individuals, their downy plumage is entirely covered in speckles, and their breast colour is less vibrant. Due to its somewhat elusive behaviour, hearing the melodious sounds of the European Robin is often more common than catching a glimpse of its physical presence.

Distribution

The European robin can be found widely across various regions, including Europe, Central and Western Asia, the Middle East, and North Africa.

Habitat

The European robin primarily inhabits forested areas, gardens, and squares, with a particular preference for locations abundant in large trees, often including dry trees that serve as suitable shelters for the bird.

Feeding

In the breeding season, the European robin primarily relies on a diet of insects, worms, and other invertebrates, while during autumn and winter, it shifts its feeding habits to include seeds, berries, and fruits.

A resident bird of Georgia.

In urban areas, the melodies of the European robin are frequently heard, yet spotting this bird is a rare occurrence. This is due to its secretive behaviour, as it primarily hides among bushes and dense vegetation, from where it delights us with its melodic songs.



ხშირად ხმის მოსმენა
უფრო მარტივია, ვიდრე
უშუალოდ დანახვა

More likely to be heard
than seen

LC



ქანგიანი წითელი
გული მთელი წლის
განმავლობაში

Rusty red breast year
round

♀/♂,*/**,●

მიმინო / Eurasian sparrowhawk

Accipiter nisus



ოჯახი: ქორისებრნი / Accipitridae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 3 წელი
სიგრძე: მამრი – 29-34 სმ, მდედრი – 35-41 სმ
ფრთაშლილი: მამრი – 58-65 სმ, მდედრი – 67-80 სმ

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

პატარა ზომის მტაცებელი ფრინველია განიერი, ბლაგვი დაბოლოებების მქონე ფრთებითა და გრძელი კუდით. ფრენისას, ფრთების რამდენიმე მოქმედის შემდეგ, მოძრაობას ტალღისებურად აგრძელებს. მდედრისა და მამრის განსხვავება შეიძლება გაგიჭირდეთ. სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმისთვის ხშირად მიწასთან ახლოს დაფრინავს. არ ურიდებს ურბანულ გარემოს. ზრდასრული მამრი: პატარა ზომისაა, მონაცრისფრო-მოლურჯო ზედა ნაწილით; ლოყები, მკერდი და მუცელი მოწითალო ჟანგისფერია. ზრდასრული მდედრი: მამრთან შედარებით დიდია.

გავრცელება

ფართოდაა გავრცელებული ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. შედარებით ცივ რეგიონებში – ჩრდილოეთ ევროპასა და აზიაში – ბინადარი ფრინველები გამოსაზამთრებლად სამხრეთისკენ მიფრინავენ – ჩრდილოეთ აფრიკასა და ინდოეთში. სამხრეთის პოპულაციები მობინადრეები არიან.

საბინადრო გარემო

ბინადრობს ტყეებში, ასევე – ადამიანის საცხოვრებელთან ახლოს, ზოგჯერ – დიდი პარკებისა და სკვერების ხეებით დაფარულ ნაწილში.

კვება

ძირითადად იკვებება მცირე ზომის ფრინველებით. თავს ესხმის სწრაფად და მოულოდნელად, მიწასთან ახლოს, ხშირად – ხეების, ბუჩქებისა და შენობების გარემოცვაში; ასევე შეუძლია პატარა ზომის ძუძუმწოვრების მონადირება.

საქართველოში მოხუდარი და გადამფრენია.

მიმინო და კირკიტა ხშირად ერთმანეთში გვერევა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მტაცებელია, მათი ცხოვრების წირი საკმაოდ განსხვავებულია. კირკიტები უმეტესად ქალაქებში, საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს, გვხვებიან. მიმინოები საბუდრადა ხეებს ირჩევენ, მაგრამ მათი ნახვა დასახლებულ პუნქტებშიც შეიძლება.

Family: Accipitridae
Average lifespan: 3 years
Total body length: female – 35-41 cm, male – 29-34 cm
Wingspan: female – 67-80 cm, male – 58-65 cm

Description of physical appearance (identification)

The Eurasian sparrowhawk, a small bird of prey, has wide wings with rounded tips and a lengthy tail. During flight, it exhibits a distinctive wave-like undulating movement every few wing flaps. It can be challenging to differentiate between males and females while in flight due to the limited visual cues. This predator often flies at low altitudes, making surprise attacks. The birds are comfortable in urban environments and are not easily frightened by human presence. The adult male is relatively small, displaying greyish-blue feathers on its upper body, while its cheeks, chest, and belly exhibit a reddish-rust colouration. The adult female, on the other hand, is larger than the male.

Distribution

The Eurasian sparrowhawk is found across Europe, Asia, and Africa. In colder regions such as Northern Europe and Asia, the resident populations migrate south for the winter, specifically to North Africa and India. However, the populations in southern regions are non-migratory and remain in their habitats throughout the year.

Habitat

The Eurasian sparrowhawk can be found in forested areas and is also known to inhabit areas near human settlements. It occasionally resides in the tree-covered sections of large parks and squares.

Feeding

The Eurasian sparrowhawk primarily preys on small birds. It employs rapid and unexpected attacks, often in close proximity to the ground and within the presence of trees, shrubs, and buildings. Additionally, it is capable of hunting small mammals such as young rabbits and squirrels.

A resident and migratory bird of Georgia.

There exists a tendency to mistake Eurasian sparrowhawks for common kestrels, when in fact, their lifestyles differ considerably. The bird that most often appears around cities and next to our buildings is the common kestrel. In contrast, sparrowhawks, who are also found in urban environments, construct their nests within trees.

ქაოსური თეთრი წარბი. მუქი
კაკაოსფერი შეფერილობა

Messy white brow,
dark cocoa brown plumage



♀, ✨/❄️, ●

ახალგაზრდა ინდივიდებს
აქვთ ვერტიკალური
ზოლები სხეულზე

Juveniles bear vertical
striated markings



კირკიტასთან შედარებით
მრგვალი და განიერი
ფორმები

A bolder and wider wingspan
than that of a common kestrel

LC


მუქი ვერცხლისფერი ზურგი

Metallic silver back

♂, ✨/❄️, ●

მარტივად შეიძლება
აგვერიოს კორში

Can easily be mistaken
for a goshawk



მდებრთან შედარებით
ზომაში საკრძობლად
მცირე. ინდივიდები
ვარიებენ ნაცრისფერიდან
მუქ ქლალში

Males are smaller, individuals
may vary from stone grey to
dusty brown

ქორთან შედარებით ძალიან
წერილი ფეხები

Much thinner legs than those
of goshawks



ოჯახი: ბუსებრნი / Strigidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 12-15 წელი
სიგრძე: 23-27 სმ
ფრთაშლილი: 50-57 სმ

Family: Strigidae
Average lifespan: 12-15 years
Total body length: 23-27 cm
Wingspan: 50-57 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 მცირე ზომის ბუა დიდი, წრიულად მოძრავი თავით, გრძელი ფეხებითა და მოკლე კუდით. საერთო შეფერილობა მოყავისფრო ჟღალია, სხეული თეთრი წიწწვლებითა და ლაქებითაა დაფარული. თვალები ყვითელია, ნისკარტი – მოთეთრო. დაფრინავს სწრაფად და ტალღისებურად. ფრენის სილუეტით, ერთი შეხედვით, შეიძლება კოდალამი აგერიოთ.

გავრცელება

გავრცელებულია ევრაზიის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. საკართველოში ძირითადად გვხვდება ქვეყნის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში.

საბინადრო გარემო

გავრცელებულია ზღვის დონიდან 2600 მეტრამდე. გვხვდება გამთლილ ტერიტორიებზე – სტეპებში, მინდვრებში (მათ შორის იქ, სადაც, შენობა-ნაგებობები ან ნანგრევებია), ალპურ მდელოებზე, ნახევარუდაბნოებსა და უდაბნოებში. ბინადრობს დასახლებულ ადგილებთან ახლოს – სოფლებში, ფერმებში, ხეხილის ბაღებში. საცხოვრებელი გარემოს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გამლელი სივრცეა, – ამგვარ ტერიტორიაზე ნადავლის მოძიება და მოპოვება უფრო ადვილია.

კვება

იკვებება მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, მცირე ზომის ფრინველებით, ქვეწარმავლებით, ამფიბიებითა და დიდი ზომის მწერებით.

საკართველოში მოხინაღრა.

ალბათ გიფიქრიათ, რომ ჭოტი იშვიათი სახეობაა, რადგან სხვა ფრინველებივით ხშირად არ გხვდებათ, ან, სულაც, არასოდეს გინახავთ. სინამდვილეში, უბრალოდ მისი შემჩნევაა ძნელი. შეიძლება ძველი შენობის კედელზე შემომჯდარი ჭოტი ჩვეულებრივი აგურის დეტალი გეგონოთ და ისე ჩაუაროთ გვერდით, რომ ვერც კი დაინახოთ.

Description of physical appearance (identification)

The little owl is a compact owl species characterised by its small size, large rounded head, long legs, and short tail. Its plumage is predominantly brown, adorned with white speckles and spots. The eyes of the little owl are strikingly yellow, while its beak has a whitish hue. When in flight, it displays a fast and undulating flight pattern. The Little owl's flight silhouette may deceive observers at first glance, resembling that of a woodpecker. However, upon closer inspection, its distinct features and owl-like characteristics become apparent.

Distribution

The little owl is found across the central region of the Eurasian continent, as well as in the Middle East and North and Northeast Africa. It has also been artificially introduced to Great Britain. In Georgia, it primarily inhabits the central, eastern, and southern parts of the country.

Habitat

It can be found at elevations ranging from sea level up to 2600 metres. Its presence is observed in open landscapes such as steppes, fields (including areas with buildings or ruins), alpine meadows, semi-deserts, and deserts. It is also commonly found near human settlements such as villages, farms, and orchards. The availability of open spaces is a key feature of its preferred habitat, as it facilitates easier prey detection and capture.

Feeding

The little owl sustains itself by consuming a diet consisting of small mammals, small birds, reptiles, amphibians, and large insects.

A resident bird of Georgia.

You could easily assume that the little owl is an extremely rare bird species, mainly because you've never seen it. However, the truth is that you might have unknowingly passed by one numerous times, possibly mistaking it for an ordinary decorative brick in the wall of an old building, without ever noticing it.



ხშირად რთულია შემჩნევა დღისით, გამოსაჩენ ადგილასაც კი. კარგად ერწყმის გარემოს

Often challenging to spot, even when sitting in open settings during daytime

ახალგაზრდა ინდივიდებს არ ახასიათებთ მკვეთრი და მოწესრიგებული დაწინკვლა

Juveniles have little to no spots on their head and breast



♀/♂,*/*/●

LC

ხშირად აქტიურია დღის განმავლობაშიც

Also active during the day



ოჯახი: ბუსებრნი / Strigidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 10-12 წელი
სიგრძე: 19-21 სმ
ფრთაშლილი: 47-54 სმ

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

ჭოტზე მცირე ზომის ბუა, შედარებით გრძელი ფრთებითა და მოკლე კუდი. საერთო შეფერილობა მონაცრისფროა, სხეული თეთრი და შავი წინწკლებითაა დაფარული. თავზე ბუმბული რქებივით ექორჩრება, მაგრამ არა ყოველთვის. წყრომის შეფერილობა ხის მერქანს მოგვაგონებს, რისი საშუალებითაც შესანიშნავად ეხამება გარემოს და რჩება შეუმჩნეველია.

გავრცელება

გამრავლების პერიოდში გავრცელებულია სამხრეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში. გამოხატობისას გვხვდება ცენტრალურ აფრიკაში.

საბინადრო გარემო

ბინადრობს გაშლილ ტერიტორიებზე – სტეპებში, მინდვრებში, მდელოებზე. გვხვდება ხნოვან ტყეებში, სადაც მრავლადაა დიდი ზომის ხეები და ფელურები. არ ერიდება დასახლებულ ადგილებს – ხშირად ვნახავთ სოფლებში, ფერმებში, ხეილის ბაღებში. შეიძლება გავრცელდეს ზღვის დონიდან 3000 მეტრამდე.

კვება

იკვებება მცირე ზომის ძუძუმწოვრებით, მცირე ზომის ფრინველებით, ქვეწარმავლებით, ამფიბიებითა და დიდი ზომის მწერებით.

საქართველოში მოხუდარი და გადამფრენია.

ზაფხულის ცხელ დღეებში, საღამოხანს, ლისის ტბაზე, მაღალი ვერხვებიდან ხშირად გაიგონებთ უცნაურ შეძახილს. ეს წყრომის ხმაა. თუ გაგიმართლებთ, შეიძლება წააწყდეთ ლამპიონის მუქე მონადირე წყრომსაც, რადგან მუქე მათთვის მოსაწონ ბევრ მწერს იზიდავს.

Family: Strigidae
Average lifespan: 10-12 years
Total body length: 19-21 cm
Wingspan: 47-54 cm

Description of physical appearance (identification)

The scops owl is a small owl with distinct features. Including long wings and a short tail. It has greyish colouration and a combination of white and black feathers adorn its body. While it possesses horn-like feather tufts on its head, it has a remarkable ability to mimic its surroundings and remain concealed when perched on a tree.

Distribution

During the breeding season, the scops owl can be found extensively across southern, eastern, and southeastern Europe, as well as central and western Asia. However, during the winter months, it migrates to Central Africa.

Habitat

The scops owl inhabits various open landscapes such as steppes, fields, and meadows. It can also be found in dry forests characterised by abundant large trees and shrubs. Interestingly, it shows no hesitation in frequenting human settlements, often observed in villages, farms, and orchards. Additionally, this species has the ability to thrive at high altitudes, extending its range up to 3000 metres above sea level.

Feeding

The diet of the scops owl primarily consists of small mammals, small birds, reptiles, amphibians, and large insects.

A resident and migratory bird of Georgia.

On a hot summer's day at Lisi Lake, as dusk falls, an unfamiliar call might reach our ears from the towering poplar trees located nearby. These vocalisations are produced by scops owls. Should you have luck on your side, after a summer's evening turns to night, you might just be able to see a scops owl hunting small insects attracted by the street lights.



კამუფლირების შესანიშნავი უნარი.
თითქმის შეუძლებელია შემჩნევა

Use of camouflage, making it almost
impossible to spot a roosting bird



ზომიანი პატარა, ჭოტივგან
განსხვავებით წვრილად და
ქაოსურად დაწინწკლული. აქვს
"ყურები", შეიძლება დაკეცოს

Ears are often not visible, with an
erratic and mossy plumage, distin-
guishable from that of the little owl

♀/♂,*/**,●



LC

მეტე შანსია ხმის გაგების, ვიდრე ნახვის

More likely to be heard than seen



ოჯახი: კოდალაებრი / Picidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 4-10 წელი
სიგრძე: 30-36 სმ
ფრთაშლილი: 44-51 სმ

Family: Picidae
Average lifespan: 4-10 years
Total body length: 30-36 cm
Wingspan: 44-51 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)
 მასიური, საერთო შეფერილობით მწვანე ფრინველა წითელი თხემითა და მოყვითალო გავით. მისი დანახვა ფრენის დროს უფრო იოლია. ადვილად ამოვიცნობთ ფრენის ძლიერ ტალღისებური სტილით, მკვეთრი შეფერილობით, მოკლე კუდითა და დიდი ზომის ნისკარტით. სხვა სახეობის კოდალებისგან განსხვავებით, მწვანე კოდალას ხშირად ვნახავთ მიწაზე მოსიარულეს. სქესობრივი დიმორფიზმი უმნიშვნელოდა გამოხატული. მდედრისა და მამრის შთავარი განმასხვავებელი ნიშანია „უღვავში“, რომლის შუაგულიც მამრს წითელი აქვს, ხოლო მდედრს – შავი.

გავრცელება
 საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან, სადაც კოდალების საბინადროდ აუცილებელი ტყის მასივებია.

საბინადრო გარემო
 არ არის დამოკიდებული ტყის ერთ, კონკრეტულ ტიპზე და ნაირგვარ ჰაბიტატში ბინადრობს. გვხვდება როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებში, არიდულ ზონებში, ხეხილის ბაღებში. არ ერიდება დასახლებულ ადგილებს – ხშირად ვნახავთ დიდი ქალაქების პარკებსა და სკვერებში.

კვება
 სხვა სახეობის კოდალების მსგავსად, საკვებს (მწერები/ლარვები) მეტწილად ხის ქერქიდან მოიპოვებს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მწვანე კოდალას ერთ-ერთი ძირითადი საკვები ჭიანჭველებია, ამიტომ მას მიწაზეც ხშირად ვნახავთ. იღებს მცენარეულ საკვებსაც (განსაკუთრებით ზამთარში).

საქართველოში მოხინაღრა.

ვაკის პარკში, მზიურში ან სხვა რომელიმე დიდ პარკში სეირნობისას უცხად მოზრდილმა მომწვანო ფრინველმა თუ ჩაიფრინათ დიდი სიჩქარით, გალიიდან გამოფრენილი თუთიყუში არ გეგონონ და მის გადასარჩენად არ გაეშურათ – დიდი ალბათობით თქვენ მწვანე კოდალა ნახეთ.

Description of physical appearance (identification)

The green woodpecker is a large bird with predominantly green plumage, adorned with a red crest and a yellowish bill. Its distinctive appearance makes it easy to spot, especially when it is in flight. The bird is characterised by its undulating flight style, vibrant colours, short tail, and prominent beak. Interestingly, unlike other woodpecker species, the green woodpecker is frequently observed walking on the ground. There is little difference between males and females, and the primary distinguishing feature is the “moustache” pattern, where the male has a red middle section, while the female has a black one.

Distribution

It can be found throughout most of its range, including in Georgia, where it occurs in abundance wherever forested areas provide a suitable habitat for the woodpecker.

Habitat

The green woodpecker is not limited to a particular kind of forest. It can be found in various environments, including both deciduous and coniferous forests, as well as arid zones and orchards. Additionally, it is not shy to venture into populated areas, frequently observed in parks and squares within major cities.

Feeding

Similarly to other woodpeckers, the green woodpecker primarily obtains its food, such as insects and larvae, by foraging on tree bark. However, what sets it apart is its notable preference for ants, making it frequently spotted on the ground. Additionally, the green woodpecker also consumes plant-based food, particularly during the winter months.

A resident bird of Georgia.

While strolling through Vake Park, Mziuri, or any large park in Tbilisi, if you are suddenly approached by a swiftly flying adult bird with a greenish hue, refrain from assuming it is an escaped parrot and resist approaching to offer help. Chances are, you probably just met a green woodpecker.

♀, ❄️/❄️, ●

მდედრს არ აქვს წითელი "ულვაში"

Red marking beside beak, "moustache", distinguishes male and female

ხშირად მიწაზე, ან ხის დაბალ იარუსებზე იკვებება

Often forages on the ground and around foliage of the base of trees

ახალგაზრდაშივე გამოხატული სქესი. მამრს აქვს მსუბუქად შესამჩნევი წითელი "ულვაში"

Male juveniles can be distinguished by the red tinge in "moustache"

♂, ❄️/❄️, ●

♀/♂, ○

მკვეთრად დახალული. მოუწესრიგებელი

Densely spotty plumage





ოჯახი: კოდალაებრნი / Picidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 10-11 წელი
სიგრძე: 23-26 სმ
ფრთაშლილი: 38-44 სმ

Family: Picidae
Average lifespan: 10-11 years
Total body length: 23-26 cm
Wingspan: 38-44 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

ჭრელ კოდალებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. ზომით ბევრად ჩამოუვარდება მწვანე კოდალას. სხეულის ძირითადი ნაწილი შავ-თეთრია: ზურგი შავია, მუცელი – თეთრი, მხრებზე თეთრი ლაქები აქვს, მთავარ მომქნევეებზე – თეთრი ზოლები. კუდქვეშა მფარავები წითელია.

მდედრისგან მამრს წითელი კეფა განასხვავებს. შეფერილობით, ზომითა და, ხშირად, საბინადრო გარემოთიც, სირიულ კოდალას წააგავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ნისკარტის ფუქესთან დაწყებული შავი ზოლი კეფამდე მიჰყვება.

გავრცელება

გავრცელებულია ევროპაში, ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთსა და აფრიკის უკიდურეს ჩრდილოეთში, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საქართველოში თითქმის ყველგან ბინადრობს.

საბინადრო გარემო

არ არის დამოკიდებული ტყის ერთ, კონკრეტულ ტიპზე და ნაირგვარ კაბიტატში ბინადრობს. გვხვდება როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებში, არიდულ ზონებში, ხეხილის ბაღებში. არ ერიდება დასახლებულ ადგილებს – ხშირად ვნახავთ დიდი ქალაქების პარკებსა და სკვერებში.

კვეპა

ყველა სახეობის კოდალა ერთნაირად იკვებება: ნისკარტის დარტყმით ხვრეტს დაავადებულ ან უკვე მკვდარი ხის მერქანს და მწერები/ლარვები ამოჰყავს. იღებს მცენარეულ საკვებებს (განსაკუთრებით ზამთარში).

საქართველოში მოხინდრვა.

Description of physical appearance (identification)

The great spotted woodpecker is characterised by its spotty plumage. It is smaller in size than the green woodpecker. The majority of its body is adorned with a combination of black and white feathers. The back is black, belly is white, and there are distinctive white spots on the shoulders and white stripes on the wings. Additionally, the undertail coverts have a vibrant red colour.

The male woodpeckers have a red head, setting them apart from their female counterparts. The great spotted woodpecker shares similarities in colouration, size, and habitat with the Syrian woodpecker, but it can be differentiated by a distinct feature: unlike the Syrian woodpecker, the black stripe on the great spotted woodpecker starts at the base of its beak and extends all the way to the nape of its neck.

Distribution

The great spotted woodpecker has a wide distribution range that spans across Europe, the northern regions of the Middle East, and the extreme northern parts of Africa. It is also found in Central, East, and Southeast Asia. In Georgia, the great spotted woodpecker can be found inhabiting various habitats and is present throughout the country.

Habitat

The great spotted woodpecker is adaptable to a wide range of habitats and is not limited to a specific type of forest. It can be found in various environments, including both deciduous and coniferous forests, as well as arid zones and orchards. Additionally, it is not shy to venture into populated areas, frequently observed in parks and squares within major cities.

Feeding

All woodpecker species have a similar feeding behaviour. They use their beaks to peck into diseased or decaying wood, extracting insects and larvae as their primary source of food. Additionally, woodpeckers also consume plant-based food, particularly during the winter season.

A resident bird of Georgia.

"ულვამი" უწყვეტად ერთდგბა
კეფასთან

Moustache line connects to nape

♀, ☀, ❄, ●

არ აქვს წითელი
კეფა

Distinguishable by
lack of red

♂, ☀, ❄, ●

წითელი თხემი
ახალგაზრდაში,
რაც დამახასიათე-
ბელია საშუალო
ჭრელი კოდალა-
სთვისაც

Bright red
crown in juveniles
resembles middle
spotted woodpecker

♀/♂, ○

ზრდასრულთან შედარებით
ჭუჭყიანი ნაცრისფერი და
მკრთალი წითელი მუცელი

Juveniles can be distinguished
by a fainter tone of red base,
and by a more dusty grey body



ოჯახი: კოდალასებრნი / Picidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 7-9 წელი
სიგრძე: 20-22 სმ
ფრთაშლილი: 32-35 სმ

Family: Picidae
Average lifespan: 7-9 years
Total body length: 20-22 cm
Wingspan: 32-35 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

ძირითადი შეფერილობა შავ-თეთრია. დიდ ჭრელ კოდალაზე ოდნავ მომცროა, გაცილებით პატარა ნისკარტითა და წითელი თხემით. ყელთან გასდევს შავი ზოლი, რომელიც ნისკარტსა და კისერს არ უერთდება. ფრთები შავია, თეთრი ზოლებით, მუცელი – მოვარდისფრო. მხრებზე თეთრი ლაქები გამოკვეთილია და კარგად ჩანს როგორც ფრენის, ისე ჯდომის დროს.

გავრცელება

გავრცელებულია ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიის უკიდურეს დასავლეთში; ყველგან მობინადრეა. საქართველოში გვხვდება თითქმის ყველგან, ზღვის დონიდან 2000 მეტრამდე. იშვიათად ვნახავთ არიდულ ტყეებში.

საბინადრო გარემო

ბინადრობს როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებში, მაგრამ უპირატესობას მუხნარსა და რცხილნარს ანიჭებს. აუცილებელია, რომ ტყეში იყოს ბებერი, დაავადებული ან მკვდარი ხეები. გვხვდება ხეხილის ბაღებშიც. არ ერთდება დასახლებულ ადგილებს – ხშირად ვნახავთ დიდი ქალაქების პარკებსა და სკვერებში.

კვება

ყველა სახეობის კოდალა ერთნაირად იკვებება: ნისკარტის დარტყმით ხვრეტს დაავადებულ ან უკვე მკვდარი ხის მერქანს და მწერები/ლარვები ამოჰყავს. იღებს მცენარეულ საკვებსაც (განსაკუთრებით ზამთარში).

საქართველოში მობინადრეა.

Description of physical appearance (identification)

The middle spotted woodpecker is characterised by its distinctive black and white colouration. It is slightly smaller than the great spotted woodpecker and has a smaller beak and a red crest on its head. One unique feature is the black stripe near its throat, which is separate from the beak and neck. The wings are predominantly black with prominent white stripes, and the belly has a pinkish hue. The bird also displays prominent white spots on its shoulders, which are clearly visible both in flight and when perched.

Distribution

The middle spotted woodpecker is widely distributed across Europe, the Middle East, and parts of western Asia, and can be found in various habitats. It is a common species that can be encountered throughout most of its range. In Georgia, it is also widely distributed, occurring from sea level up to elevations of 2000 metres. While it can be found in a range of habitats, it is less frequently observed in arid forested areas.

Habitat

The middle spotted woodpecker inhabits a variety of forest types, including both deciduous and coniferous forests, although it shows a preference for oak and larch forests. It requires the presence of old, diseased, or dead trees within the forest for foraging and nesting purposes. Additionally, it can be found in orchards, taking advantage of fruit trees as a food source. Interestingly, it is not deterred by human presence and can frequently be observed in parks and urban squares within large cities.

Feeding

All woodpecker species have a similar feeding behaviour. They use their beaks to peck into diseased or decaying wood, extracting insects and larvae as their primary source of food. Additionally, woodpeckers also consume plant-based food, particularly during the winter season.

A resident bird of Georgia.

ნათელი, ხასხასა ქოჩორი. ალისფერი

Bold, scarlet red crest

♀/♂, ✱/✱, ●

მსუბუქი, წერილი ნისკარტი სხვა დიდ კოლალებთან შედარებით


A shorter beak than that of other large woodpeckers

მდედრზე წითელი ქოჩორი შეიძლება არ ჩამოდიოდეს კეფამდე

Sex can be distinguished by the crest, which in males tends to go further down the neck

ალისფერი ქოჩორი შესამჩნევი თითქმის ყველა გარემოებაში

Its distinctive, eye catching crest make it visible in most light conditions



ტიპური "ჯდომა" ტოტზე

Typical perching scene

ჭუჭყიანი ვარდისფერი მკერდამდე დაზოლილი

Off-pink wash bears dashed lines





ოჯახი: კოდალახებნი / Picidae
სიცოცხლის ხანგრძლივობა: 8-10 წელი
სიგრძე: 10-14 სმ
ფრთაშლილი: 24-29 სმ

Family: Picidae
Average lifespan: 8-10 years
Total body length: 10-14 cm
Wingspan: 24-29 cm

ფიზიკური აღწერა (იდენტიფიკაცია)

ძირითადი შეფერილობა შავ-თეთრია. როგორც სახელიდანაც ჩანს, დიდ და საშუალო ჭრელ კოდალებთან შედარებით გაცილებით მცირე ზომისაა. ნისკარტი უფრო მოკლე და წვრილია. მამრს წითელი თხემი აქვს, მდედრს – შავი. ფრთები შავია, თეთრი ზოლებით, მუცელი – თეთრი. დიდი და საშუალო ჭრელი კოდალებისგან განსხვავებით, მხრებზე თეთრი ლაქები არ აქვს გამოკვეთილი.

გავრცელება

გავრცელებულია ევროპის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთსა და აფრიკის უკიდურეს ჩრდილოეთში, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

საბინადრო გარემო

ძირითადად ფოთლოვან ტყეებში ბინადრობს, ხშირად – ტბებსა და მდინარეებთან ახლოს. ფართოდაა გავრცელებული ჭალის ტყეებში, გვხვდება ხეხილის ბაღებშიც. არ ერიდება დასახლებულ ადგილებს – ხშირად ვნახავთ დიდი ქალაქების პარკებსა და სკვერებში.

კვება

ყველა სახეობის კოდალა ერთნაირად იკვებება: ნისკარტის დარტყმით ხვრეტს დაავადებული ან უკვე მკვდარი ხის მერქანს და მწერები/ლარვები ამოჰყავს. იღებს მცენარეულ საკვებსაც (განსაკუთრებით ზამთარში).

საქართველოში მოხინაღრა.

სხვა კოდალებთან შედარებით ძალიან პატარაა – ზომით სახლის ბელურას არ აღემატება. ლერწმის ტოტზე ან ვაზის წალამზე შემომჯდარ ფრინველს თუ დაინახავთ, რომელიც გამალებით უკაკუნებს უწვრილეს ტოტებს, იცოდეთ, რომ ეს უსათუოდ მცირე ჭრელი კოდალა იქნება.

Description of physical appearance (identification)

The lesser spotted woodpecker, characterised by its black and white plumage, is notably smaller in size than the larger and medium-sized woodpeckers. It has a shorter and thinner beak. The male can be identified by its red crown, while the female has a black crown. Its wings are black with distinct white stripes, and its belly is white. Unlike larger woodpecker species, the lesser spotted woodpecker lacks prominent white spots on its shoulders.

Distribution

The lesser spotted woodpecker is found across a wide range of territories, including the majority of Europe, the northern regions of the Middle East, and the extreme northern parts of Africa. It also inhabits central, eastern, and southeastern Asia.

Habitat

The lesser spotted woodpecker primarily inhabits deciduous forests, frequently in close proximity to lakes and rivers. It is commonly found in floodplain forests and can also be observed in orchards. Interestingly, it does not avoid human-populated areas and is frequently spotted in parks and urban squares of large cities.

Feeding

All woodpecker species have a similar feeding behaviour. They use their beaks to peck into diseased or decaying wood, extracting insects and larvae as their primary source of food. Additionally, woodpeckers also consume plant-based food, particularly during the winter season.

A resident bird of Georgia.

In comparison to other woodpeckers, it is a surprisingly tiny bird. To put it in perspective, it's no larger than a common house sparrow. Should you spot a bird perched upon a slender reed or a delicate vine branch, energetically tapping away, identify it as the lesser spotted woodpecker.



ტიპური ქცევა.
მოუსვენარი და სხარტი

Typical foraging scene,
smart manoeuvre in tight
spaces

სხვა კოდალეტთან
შედარებით მცირე და
წვრილი ნისკარტი

A more pointy beak than that
of other large woodpeckers

♂, ❄️/❄️, ●

ზომიანი საგრძობლად
მცირე, ზოგადი ქაოსური
აღნაგობა,
მკვეთრად დაწინწკლული
ზურგი

Petite build, with scattered,
blotchy black markings

LC



არ აქვს წითელი თხემი

Without red crown

♀, ❄️/❄️, ●



არ აქვს წითელი ქვედატანი

Without red-tinged base

ილუსტრაციების გვერდებზე დატანილია მწვანე წრეში მოქცეული სიმბოლო "LC" - **Least Concern** - მინიმალური საფრთხის წინაშე.

სახეობების კონსერვაციული სტატუსები გადმოტანილია საქართველოს განახლებული ეროვნული წითელი ნუსხიდან და ეყრდნობა IUCN-ის მიერ შემუშავებულ სახეობების შეფასების საერთაშორისო სისტემას



On the illustrations page, the letters **LC in a green circle stand for Least Concern.**

Statuses for species are taken from the most recent national red list of Georgia and are based on IUCN international species assessment method.

შეტის გასაგებად დაასკანერეთ QR კოდი



For more information scan the QR

რამდენიმე გამოსადეგი, უფასო აპლიკაცია თუ ვებგვერდი იხილეთ და დაასკანერეთ QR კოდი, ქვემოთ.

Scan and explore some useful free applications and webpages below.

Xeno_canto.

ფრინგ. ხმების ჩანაწერების ბაზა

Comprehensive recordings of bird sounds



Feather_base.

ფრინგელთა ბუმბულების ბაზა

Data on feathers and their measurements



ADW.

სანდო წყარო ცხოველთა ზოგადი მონაცემებისთვის

Reliable source of general information about animals



Georgian_biodiversity_database.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ბაზა

Database of Georgian biodiversity



E_bird.

ციფრული აპლიკაცია თქვენი ფრინგ. დაკვირვებების შესანახად

App for logging your birding data



Merlin_bird_app.

ციფრული აპლიკაცია ფრინგელთა ვიზუალური/ ხმებით ამოცნობისთვის

App for bird visual and sound identification



ჩვენი გუნდის სახელით თითოეულ მკითხველს გვინდა გთხოვოთ, რომ მაქსიმალურად შეამციროთ, ან ხმარებიდან ამოიღოთ პიროტექნიკა.

შეგახსენებთ, რომ უამრავი ცხოველი, მათ შორის სარკვევში მოცემული ფრინველების ათასობით ინდივიდი ყოველწლიურად ეწირება პიროტექნიკის გამოყენებით გამოწვეულ მოულოდნელ ხმაურსა თუ სინათლეს.

We would like to kindly request every reader on behalf of our team to minimise or, ideally, abstain from using pyrotechnics.

It is essential to remember that the abrupt noise and light produced by pyrotechnics is the cause of death for thousands of various animals, including birds.



SGP The GEF
Small Grants
Programme

30
YEARS



ბუნების კონსერვაცია საქართველო
Nature Conservation Georgia

2023

